ღია ბარათი

ბავშვებს ძალიან უყვართ ხატვა. მათ შორის, ღია ბარათებისაკენ. მაგრამ, ალბათ, ცოტა რამ იცით მის შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, როდის შეიქმნა ღია ბარათი.

ღია ბარათი **მუყაოზე** დაბეჭდილი პატარა სურათია. ნახატის მეორე მხარეს მისალოცი ტექსტი და მისამართი იწერება. ადამიანები ასეთი ბარათით ერთმანეთს ულოცავენ დაბადების დღეს, ახალ წელს და სხვა. ბარათი ფოსტით იგზავნება ან პირადად გადაეცემა **ადრესატს**.

ინგლისში მიაჩნიათ, რომ პირველი ღია ბარათი სერ ჰენრი კოულმა დაამზადა. ამ ბარათზე ხატია ოჯახი. ოჯახის წევრები სუფრასთან სხედან. ბარათს აქვს წარწერა: „მხიარულ შობას და ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!“ ბარათი ლონდონის მუზეუმში ინახება. ის 500 წლის მაინც იქნება.

1795 წელს ინგლისშივე გამოვიდა ღია ბარათების **სერია**. ისინი ხელით გააფორმა მხატვარმა დობსონმა.

1860 წლამდე ღია ბარათებს ხელით ამზადებდნენ. მხატვარს უამრავ

ბარათზე ზუსტად ერთნაირი სურათი უნდა დაეხატა. ეს ძალიან **მძიმე** შრომა იყო.

თანდათან ხელით ნახატი ღია ბარათები ნაბეჭდმა შეცვალა. თუმცა ხელით შექმნილი ღია ბარათის მიღება დღესაც ყველას უხარია.

ღია ბარათების დამზადება შენც შეგიძლია. ამისთვის გამოიყენე ფერადი მუყაო, მძივები, ქსოვილი, ღილები და სხვა მასალები. ეს საინტერესო და სახალისოა.

ალბათ, სურვილი გაგიჩნდა ახლავე გააკეთო ლამაზი ღია ბარათი. მოიფიქრე, ვის გაუგზავნი მას და რას მიულოცავ.

დონე: A გამარტივული, **კომპონენტი:** ფაქტი და მოსაზრება

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ალბათ, ბარათის გაფორმება შენთვისაც საინტერესოა.

ბ) ვფიქრობ, რომ ბარათი პირადად უნდა გადაეცეს ადრესატს.

გ) მხატვრები ღია ბარათებს 1860 წლამდე ხელით აფორმებდნენ.

2 რის შესახებ გამოთქვამენ მოსაზრებას ინგლისელები?

ა) ვინ შექმნა პირველი ღია ბარათი.

ბ) როდის დაიწყო ღია ბარათების ბეჭდვა.

გ) სად ინახება ყველაზე ძველი ბარათი.

3 რომელ წინადადებაშია გადმოცემული მოსაზრება?

ა) 1860 წლამდე ღია ბარათებს მხატვრები ხელით აფორმებდნენ.

ბ) ღია ბარათით ადამიანები ერთმანეთს დღესასწაულს ულოცავენ.

გ) ყველაზე ძველი ღია ბარათი, ალბათ, 500 წლის მაინც არის.

4 რის შესახებ *<u>არ არის</u>* საუბარი ტექსტში?

ა) რატომ დაიწყეს ღია ბარათების ბეჭდვა.

ბ) რომელი უძველესი ბარათი ინახება მუზეუმში.

გ) რომელ ქვეყნაში დაიწყო ღია ბარათების გაფორმება.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ღია ბარათი **მუყაოზე** დაბეჭდილი პატარა სურათია.
   ა) სქელ და მაგარ ქაღალდზე.
   ბ) ფერად და თხელ ქაღალდზე.
   გ) ნებისმიერი ხარისხის ქაღალდზე.

2. ადამინი **ადრესატს** პირადად უგზავნის ბარათს ფოსტით. **ადრესატი** არის ის:
   ა) ვინც აგზავნის ბარათს. ბ) ვინც იღებს ბარათს. გ) ვინც ხატავს ბარათს.

3. გამოვიდა ღია ბარათების **სერია.** აქ **სერია** ნიშნავს:
   ა) ერთნაირად გაფორმებულ ბევრ ბარათს.
   ბ) სხვადასხვანაირად გაფორმებულ ორ ბარათს.
   გ) ყველაზე ლამაზად გაფორმებულ ბარათებს.

4. ბარათზე ხატვა ძალიან **მძიმე** იყო. აქ **მძიმე** ნიშნავს:
   ა) სახალისოს. ბ) ძნელს. გ) ხანმოკლეს.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

ა) ლამაზი – მშვენიერი. ბ) მძიმე – მსუბუქი. გ) სახალისო – საინტერესო.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

ღია ბარათის მიღება ---------- უხარია.

ა) ყველა. ბ) ყველამ. გ) ყველას.

2 შეარჩიე სწორი ფორმები.

1. ოჯახის წევრები სუფრასთან ----------. ***(ზიან/სხედან)***

2. ბარათებს ხელით ----------. ***(ამზადებდნენ/ამზადებდენ)***

გრამატიკა

3 დაასრულე სიტყვა.

ოჯახის წევრები **<u>სუფრას. . .</u>** სხედან.

4 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: *ის, რაც დაიბეჭდა, არის* ***დაბეჭდილი.***

1. ის, რაც შეიქმნა, არის ----------.
2. ის, რაც გაიგზავნა, არის ----------.

5 რომელია არასწორი?

ა) ერთნაირი ბარათები. ბ) ნაბეჭდი ბარათები. გ) უამრავი ბარათები.

წერა

1 მოიფიქრე, ვის გაუგზავნი ღია ბარათს და რას მიულოცავ. დაწერე ტექსტი. მოამზადე ღია ბარათი და გადაიტანე ტექსტი მასზე.